ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1076562

ნომერი: AR1188803

თარიღი : 07.01.2014

გაცემის თარიღი : 13.01.2014

გაცნობის თარიღი : 13.01.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ყიფშიძის ქუჩაზე, მიწისქვეშა ავტოსადგომის შესასვლელის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ყიფშიძის ქუჩაზე ბენზოგასამართი სადგურის მიმდებარედ, მიწისქვეშა ავტოსადგომთან მისასვლელი გზის გადაღმა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- როინ ლიპარტელიანი პ/ნ 01010010472
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 21 ბ. 59

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახური გაეცნო თქვენს AR1188803 განცხადებას, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ საკადასტრო ერთეულზე (საკ. კოდი: 01.14.14.002.101) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონა, მათ შორის კარკასი სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციები, ხოლო მცირე ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2(რზ2), წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს, სადაც ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები. (იხ. დანართი).

აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ საკითხი, ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, ყიფშიძის ქ. #2-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.14.14.002.101) ფუნქციური ზონის სტატუსის – სარეკრაციო ზონა 2–ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილებასთან დაკავშირებით, განსახილველად წარდგენილი იქნა ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომაზე და 2011 წლის 22 ივლისის N8–40 გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისის პერსპექტიული განვითარების გენერალურ გეგმაში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლითაც დაკმაყოფილებული იქნა განმცხადებლის მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge